2-1302/25
05-02-2025

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრის მამუკა ხაზარაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2025 წლის 5 თებერვალს კომიტეტის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის მამუკა ხაზარაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი, პარლამენტის წევრის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ წერილობითი განცხადების საფუძველზე. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დაადგინა საქართველოს პარლამენტის წევრის მამუკა ხაზარაძის მიერ უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ საქართველოს პარლამენტისათვის 2024 წლის 28 ნოემბერს წარდგენილი განცხადების ნამდვილობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის წევრს მამუკა ხაზარაძეს ვადამდე შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
დავითი მათიკაშვილი